

**ԺԿՐՅՈՒՄԻ ԳՆԵՑՈՒԹՅՈՒՆ
ՏՆՏՆԱԿԱՆ ՏՎՈՒՄԻ
ՁՈՒՆ ԿՈՆՏՐՈՒԼԻՆԳԻՆԻՆԻ**



სახელმწიფო შიდა კონტროლის რეფორმის დანერგვამ განაპირობა, საქართველოს საჯარო მმართველობაში ქართული ენისთვის უცნობი ტერმინების დამკვიდრება.

ყველა პროფესიას საკუთარი ენა აქვს. მსოფლიოს ნებისმიერ ნერტილში შიდა აუდიტორებს საერთო ტერმინები, ფრაზები და პროფესიული გამონათქვამები აერთიანებთ.

სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტმა (ჰარმონიზაციის ცენტრი) მრავალწლიანი აზრთა სხვადასხვაობისა და საერთო ტერმინოლოგიის ვაკუუმის შესავსებად გადანყვიტა შეექმნა შიდა აუდიტორებისათვის პრაქტიკული სამაგიდე ლექსიკონი. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებსა (The IIA) და საუკეთესო პრაქტიკას, ასევე, საქართველოს კანონს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიურ დოკუმენტებსა და ინსტრუქციებს.

მნიშვნელოვანია, რომ შიდა აუდიტის საერთაშორისო სივრცეში დამკვიდრებულ ტერმინთა ნაწილს არ აქვს შესატყვისი ქართული განმარტება, რაც განაპირობებს შიდა აუდიტის სფეროში ახალი ტერმინების პრაქტიკაში დამკვიდრებას.

შიდა აუდიტორთა ლექსიკონი მოიცავს 100-ზე მეტ განმარტებას, რაც გააადვილებს სიტყვათა მნიშვნელობის აღქმას, მუშაობის პროცესს და ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებს საერთო პროფესიულ ენაზე მეტყველებაში.

ჰარმონიზაციის ცენტრი მადლობას უხდის ინიციატივის, მხარდაჭერისა და თანადგომისათვის პროექტს „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GGI) საქართველოში, სამუშაო პროცესში ჩართულ შიდა აუდიტორებს და ჰარმონიზაციის ცენტრის გუნდს განუული პრაქტიკული დახმარებისათვის.

თბილისი 2018წ.

შიდა აუდიტორთა ტერმინთა განმარტება

საქართველოს საჯარო
სექტორისათვის



**სახელმწიფო
შიდა ფინანსური
კონტროლი
Public Internal
Financial Control**

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი არის ევროკავშირის მიერ შემუშავებული კონცეფცია, პარტნიორ ქვეყნებში ეფექტიანი მართვის, კონტროლის და შიდა აუდიტის დანერგვის მხარდაჭერის მიზნით. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი ეფუძნება სამ ძირითად ელემენტს: i) ფინანსურ მართვასა და კონტროლს, რაც არის მენეჯერული რეფორმა და ეფუძნება მენეჯერული ანგარიშვალდებულების პრინციპს, ii) შიდა აუდიტს, დამოუკიდებელ მარნმუნებელ ან საკონსულტაციო საქმიანობას, რომელიც აფასებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემას, და iii) ჰარმონიზაციის ცენტრს, რომელიც პასუხისმგებელია რეფორმის კოორდინაციაზე, ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის დანერგვაზე;

**ჰარმონიზაციის
ცენტრი
Central
Harmonization Unit**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ხელს უწყობს და უზრუნველყოფს დაწესებულებებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვას, განვითარებას, ფუნქციურ სრულყოფას და ამ საკითხების კოორდინაციას;

**შიდა კონტროლის
სისტემა
Internal control
system**

დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს; აგრეთვე, შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა, და რომლის ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებელი არიან დაწესებულების ხელმძღვანელები;

**ფინანსური მართვა
და კონტროლი
Financial
Management and
Control**

შიდა კონტროლის სისტემის ნაწილი, რომელსაც ნერგავენ და ახორციელებენ დანესებულების ხელმძღვანელები, რაც უზრუნველყოფს დანესებულების მიზნების მიღწევას სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას;

**მენეჯერული
ანგარიშვალდებულება
Managerial
accountability**

საჯარო დანესებულებათა მენეჯერების პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, კარგი მმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით, ქმედებების, გადანყვეტილებებისა და პოლიტიკის, მათ შორის რესურსების ოპტიმიზაციის მაქსიმალურად გაზრდა, და მიღწეული მიზნების და შედეგების შესახებ მოხსენების ვალდებულება¹;

დანესებულების ყოველ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის და სახსრების კანონიერი, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის გზით დანესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებისათვის პასუხისმგებელია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე²;

¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;

² The IIA

შიდა აუდიტი
Internal audit

დანესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარნმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას;

სიტყვა აუდიტი წარმოიშვა ლათინური სიტყვისგან „Auditus“, რაც ნიშნავს „მოსმენას“ (hearing), რომელიც განიმარტება, როგორც პირის მიერ გადამონმებული ინფორმაციის გეპირი მტკიცებულების სახით მოსმენა;

მარნმუნებელი
საქმიანობა
Assurance Service

მტკიცებულების ობიექტური შემონმება, დამოუკიდებელი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, დანესებულებისთვის მმართველობის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესებთან დაკავშირებით;

საკონსულტაციო
საქმიანობა
Consulting Service

კონსულტაცია და მასთან დაკავშირებული საქმიანობები, რომელთა ხასიათი და ფარგლები თანხმდება ობიექტთან, გამიზნულია დამატებითი ღირებულებისათვის და დანესებულების მმართველობის, რისკის მართვის და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებისათვის, შიდა აუდიტორის მიერ მართვის პასუხისმგებლობის ალების გარეშე;

რისკი
Risk

ალბათობა ისეთი მოვლენის მოხდენისა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დანესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე;

კონტროლი
Control

ნებისმიერი ქმედება, რომელსაც მენეჯერები ახორციელებენ რისკების მართვისა და მიზნების მიღწევისთვის. მენეჯერებმა უნდა დაგვეგმონ და მართონ იმგვარად, რომ არსებობდეს შესაბამისი რწმუნება დაწესებულების მიზნების მიღწევის შესახებ;

მმართველობა
Governance

პროცესებისა და სტრუქტურების ერთობლიობა, რომელსაც წერგავენ მენეჯერები, რათა მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია, მართონ და მონიტორინგი გაუწიონ ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას;

კარგი მმართველობა
Good governance

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის, კანონიერებისა და მიუკერძოებლობის, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის მეთოდი;

ეკონომიურობა
Economy

რესურსების ღირებულების მინიმუმამდე შემცირება მისაღები ხარისხის პირობებში, რაც გულისხმობს შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის საჭირო რესურსების დროულად და საუკეთესო ფასად შექმნას;

ეფექტიანობა
Effectiveness

დაგეგმილი შედეგებისა და დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, რაც გულისხმობს მიღწეული მიზნებისა და შედეგების განხორციელებულ ღონისძიებებთან კავშირს;

პროდუქტიულობა
Efficiency

არსებული რესურსებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა, რაც გულისხმობს, შესაბამისი ხარისხის, რაოდენობისა და დროულობის გათვალისწინებით, გამოყენებულ რესურსებსა და საბოლოო პროდუქტს შორის თანაფარდობას;

აუდიტის სამყარო
Audit Universe

შიდა აუდიტის სამყარო არის სისტემაში არსებული ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, პროცესის, პროგრამის/ქვეპროგრამის, ფუნქციის, სფეროს, გეოგრაფიული მდებარეობის ერთობლიობა, რომელიც შიდა აუდიტის სუბიექტისთვის არსებითად ექვემდებარება გარკვეულ რისკებს ან წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან ფაქტორებს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში. მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის სამყაროს პერიოდული გადასინჯვა და რისკების ხელახალი შეფასება დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების ცვლილებების შესაბამისად, რაც აისახება შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში.

შიდა აუდიტორული
შემონშება
Internal audit engagement

სარეკომენდაციო შემონშება, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის ობიექტში განსახორციელებელი ქმედებების, დავალებებისა და პროცესების ერთობლიობას;

სისტემური აუდიტი
Systems-based audit

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

**შესაბამისობის აუდიტი
Compliance audit**

დანეხებულების საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება;

**ეფექტიანობის აუდიტი
Performance audit**

შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, დანეხებულების ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების ობიექტური და საიმედო შეფასება მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით;

**ფინანსური აუდიტი
Financial audit**

შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

**ინფორმაციული
ტექნოლოგიების
აუდიტი
IT-Systems audit**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება სისტემის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

**შიდა აუდიტორთა
ეთიკის კოდექსი
Code of Ethics of
Internal Auditors**

პრინციპები, რომლებიც ვრცელდება შიდა აუდიტორებზე და მოიცავს მათი ქცევის ძირითად წესებს;

**პატიოსნება
Integrity**

პატიოსნება წარმოშობს ნდობას და, ამდენად, წარმოადგენს შიდა აუდიტორთა განსჯისადმი ნდობის საფუძველს;

ობიექტურობა
Objectivity

გულისხმობს, რომ შიდა აუდიტორული შემოწმებისას ინფორმაციის შეგროვების, შეფასებისა და გავრცელების დროს შიდა აუდიტორები ამჟღავნებენ მაღალი დონის პროფესიონალურ ობიექტურობას. მოსაზრების ჩამოყალიბებისას შიდა აუდიტორები ახდენენ ყველა მნიშვნელოვანი გარემოების განონასწორებულ შეფასებას და არ ექცევიან საკუთარი ან სხვა პირთა ინტერესების გავლენის ქვეშ;

კონფიდენციალურობა
Confidentiality

გულისხმობს იმას, რომ შიდა აუდიტორები პატივს სცემენ მიღებული ინფორმაციის ღირებულებას და საკუთრების პრინციპს და არ ამჟღავნებენ მას შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, იმ გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა ინფორმაციის გამჟღავნება ნაკარნახევია სამართლებრივი ან პროფესიული მოვალეობებით;

კომპეტენტურობა
Competence

გულისხმობს, რომ შიდა აუდიტორები იყენებენ იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომლებიც აუცილებელია შიდა აუდიტორული საქმიანობისათვის;

შიდა აუდიტის
სტანდარტები
Internal audit standards

შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (The IIA) სტანდარტების შესაბამისი კრიტერიუმები ან მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის ძირითად პროფესიულ მოთხოვნებს და წარმოადგენს შიდა აუდიტის განხორციელებისას შიდა აუდიტორის მთავარი გზამკვლევის;

დამოუკიდებლობა Independence

ნიშნავს თავისუფლებას იმ ფაქტორებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის შიდა აუდიტის საქმიანობის მიუკერძოებელ განხორციელებას. დამოუკიდებლობა შესაძლებლობას აძლევს შიდა აუდიტორებს, მიიღონ აუცილებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი გადაწყვეტილებები; დამოუკიდებლობა შეიძლება განიმარტოს, როგორც თავისუფლება, არა-დამოკიდებულად ყოფნა, ადამიანის, დანესებულებისა თუ სახელმწიფოს ყოველგვარი გავლენისა და კონტროლისგან.

ორგანიზაციული დამოუკიდებლობა

შიდა აუდიტის სუბიექტი ორგანიზაციულად დამოუკიდებელია, თუ ის უშუალოდ ექვემდებარება დანესებულების ხელმძღვანელს;

ფუნქციური დამოუკიდებლობა

შიდა აუდიტი ფუნქციურად დამოუკიდებელია, თუ იგი ანგარიშვალდებულია უშუალოდ საბჭოსთან/კომიტეტთან;³

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დანესებულებაში ანგარიშვებას უნდა წარადგენდეს დანესებულების ხელმძღვანელის წინაშე, რომელიც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის სუბიექტის პასუხისმგებლობათა განხორციელებას;⁴

³ The IIA

⁴ „შიდა აუდიტის სტანდარტები“ (საქართველოს მთავრობის N1015 განკარგულება)

**დანესებულება
Institution**

საქართველოს სამინისტროები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, აგრეთვე, ის საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონი;

**შიდა აუდიტის
სუბიექტი
Internal audit unit**

დანესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან დანესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს შიდა აუდიტი;

**შიდა აუდიტის
დებულება
Internal audit charter**

სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის მიზანს, უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას. შიდა აუდიტის დებულებით განისაზღვრება შიდა აუდიტის სუბიექტის სტატუსი დანესებულებაში, ასევე, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის ფუნქციონალური ანგარიშვალდებულების არსი დანესებულების ხელმძღვანელის წინაშე; ჩანაწერებთან, თანამშრომლებთან და მატერიალურ/არამატერიალურ ქონებასთან (აქტივებთან) წვდომის უფლებამოსილება შესაბამისი შიდა აუდიტორული შემოწმების შესრულებისას, ასევე დებულებით დგინდება შიდა აუდიტის საქმიანობის ფარგლები. შიდა აუდიტის დებულებას ამტკიცებს დანესებულების ხელმძღვანელი;

**შიდა აუდიტის
ობიექტი
Auditee**

დანესებულება ან/და დანესებულების სისტემა ან/და დანესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი/ქვედანაყოფები (ერთეული/ერთეულები) ან/და დანესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეული/ერთეულები, რომელშიც/რომლებშიც შიდა აუდიტი ხორციელდება;

**შიდა აუდიტორი
Internal auditor**

შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს შიდა აუდიტს;

**კვალიფიკაცია
Proficiency**

ცოდნა, უნარ-ჩვევები და სხვა კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა შიდა აუდიტის პასუხისმგებლობების შესასრულებლად. შიდა აუდიტორებმა საქმიანობა უნდა განახორციელონ კვალიფიციურად და სათანადო პროფესიონალურ დონეზე. შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა, უნარ-ჩვევები და სხვა საჭირო შესაძლებლობები ინდივიდუალურ ვალდებულებათა შესასრულებლად. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის განსახორციელებლად შიდა აუდიტორები კოლექტიურად უნდა ფლობდნენ ან მოიპოვებდნენ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და სხვა შესაძლებლობებს

**სათანადო
პროფესიონალური
დამოკიდებულება
Due Professional care**

შიდა აუდიტორებმა უნდა გამოიჩინონ პროფესიონალური დამოკიდებულება და უნარ-ჩვევები ისე, როგორც მოეთხოვება გონივრულ, ნინდახედულ, კომპეტენტურ შიდა აუდიტორს. სამუშაოსადმი პროფესიული დამოკიდებულება არ გამოირიცხავს შეცდომის დაშვებას;

**უნყვეტი
პროფესიონალური
განვითარება
Continuing Professional
Development**

შიდა აუდიტორებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა, უნარები და სხვა შესაძლებლობები უწყვეტი პროფესიონალური განვითარების გზით;

**მონვეული (გარე)
ექსპერტი
External Service
Provider**

გარეშე პირი ან ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება ცალკეულ საკითხებში;

**ხარისხის
უმრუნველყოფისა
და გაუმჯობესების
პროგრამა
Quality Assurance and
Improvement program**

ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის შემუშავება ხდება შიდა აუდიტის არსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შესაბამისობის დასადგენად და, ასევე, შიდა აუდიტორების მიერ შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის გამოყენების შესაფასებლად. პროგრამა, ასევე, აფასებს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ეფექტიანობას და პროდუქტიულობას და ადგენს გაუმჯობესების შესაძლებლობებს;

**ხარისხის
უზრუნველყოფისა
და გაუმჯობესების
პროგრამის
მოთხოვნები
Requirements of the
Quality Assurance and
Improvement Program**

ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამამ უნდა მოიცავს შიდა და გარე შეფასებები. შიდა შეფასებებმა უნდა მოიცავს:

- ა) შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შედეგების მიმდინარე მონიტორინგი;
- ბ) პერიოდული მიმოხილვები, განხორციელებული თვითშეფასების მეშვეობით, ან დანესებულებაში არსებული სხვა პირების მეშვეობით, რომელთაც გააჩნიათ შიდა აუდიტის პრაქტიკის საკმარისი ცოდნა;

**შიდა შეფასება
Internal Assessment**

შიდა შეფასება მოიცავს აუდიტორულ შემონგებებზე ზედამხედველობას. ის წარმოადგენს შიდა აუდიტის პროცედურების შესრულების კონტროლის ინსტრუმენტს და მოიცავს შიდა აუდიტში ჩართული მხარეებისგან უკუკავშირს, ასევე, შიდა აუდიტის სუბიექტის სხვა თანამშრომლების მიერ (ისინი, ვინც არ არიან ჩართულნი კონკრეტული შიდა აუდიტის განხორციელებაში) სამუშაო დოკუმენტაციის გადასინჯვას, ბიუჯეტის შედგენას, დროის აღრიცხვის სისტემებს, აუდიტის გეგმის შესრულებასა და ხარჯების ანაზღაურებას, ასევე, საქმიანობის განხორციელების ინდიკატორების ანალიზს.

შიდა შეფასების მექანიზმი შედგება 2 ნაწილისგან: მიმდინარე მონიტორინგისა და პერიოდული თვითშეფასებებისგან, დანესებულებების იმ თანამშრომელთა მიერ, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ცოდნა შიდა აუდიტის საქმიანობასთან დაკავშირებით.

**მიმდინარე
მონიტორინგი
Ongoing monitoring**

მიმდინარე მონიტორინგი შიდა აუდიტის საქმიანობის შემადგენელი მუდმივი პროცესია, რაც გულისხმობს შიდა აუდიტის საქმიანობაზე ყოველდღიური ზედამხედველობის, გადასინჯვის და შეფასების განხორციელებას. მიმდინარე მონიტორინგის რეგულირება ხდება იმ შიდა იურიდიული დოკუმენტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა აუდიტის საქმიანობის შესაბამისობას შიდა აუდიტის განმარტებასთან, ეთიკის კოდექსსა და სტანდარტებთან;

**გარე შეფასება
External Assessment**

გარე შეფასება წარმოადგენს მიუკერძოებელ შეფასებას, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებელი, კვალიფიციური გარე ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ;

**ექსპერტული
(კოლეგიალური)
შეფასება
Peer review**

პრაქტიკული მონიტორინგის პროგრამა, რომლითაც შიდა აუდიტის საქმიანობას პერიოდულად ამოწმებენ სხვა, დამოუკიდებელი პროფესიონალები, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

**„შეესაბამება
შიდა აუდიტის
სტანდარტებს“
ფრაზის გამოყენება
Use of “Conforms with
the International Stan-
dards for the Profes-
sional Practice
of Internal Auditing”**

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა შეესაბამება შიდა აუდიტის სტანდარტებს მხოლოდ მაშინ, თუ ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შედეგები ადასტურებს ამ განცხადებას;

**შიდა აუდიტორული
შემოწმების
ინდივიდუალური
გეგმა
Internal audit individual
plan**

აუდიტორული შემოწმებისათვის შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს აუდიტორს, მიიღოს საკმარისი მტკიცებულებები გარემოებების გათვალისწინებით, შეძლოს აუდიტის ხარჯების გონივრული განაწილება და თავიდან აიცილოს გაუგებრობები აუდიტის ობიექტთან. აღნიშნული მოიცავს ისეთ კითხვებზე პასუხს როგორცაა: „ვინ?“, „რა?“, „სად?“, „როდის?“ და „როგორ?“: აუდიტის ობიექტი, აუდიტორული შემოწმების მასშტაბი, აუდიტორები, რომლებიც არიან ჩართულები აუდიტორულ შემოწმებაში, და ა.შ.

**შიდა აუდიტის
მასშტაბი
Internal Audit Scope**

სფეროები, საქმიანობები, პროცესები, პროცედურები, საანგარიშო პერიოდი, დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებიც ექცევა შიდა აუდიტორული შემოწმების ფარგლებში - შიდა აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს;

**წინასწარი კვლევა
Preliminary Survey**

შიდა აუდიტორული შემოწმების ფარგლებში წინასწარი კვლევის მიზანია იმ მოსაზრებების რეალურობის გადამოწმება, რომლებიც აუდიტის წინასწარი დაგეგმვის დროს გაკეთდა. წინასწარი კვლევა ეხმარება შიდა აუდიტორებს შეისწავლონ ძირითადი სისტემები და პროცესები;

**საკონტროლო
კითხვარი
Checklist**

საკონტროლო კითხვარი აზღვევს შიდა აუდიტორს მნიშვნელოვანი პუნქტების გამოტოვებისგან, შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესში. ის შედგება შეკითხვების ვრცელი სიისგან და მოითხოვს „დიახ“ ან „არა“ პასუხების გაცემას. საკონტროლო კითხვარი უზრუნველყოფს აუდიტის გეგმით განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვას;

**უშუალო დაკვირვების
მეთოდი
Walk throughs**

წარმოადგენს შიდა აუდიტორის მიერ პრაქტიკაში არსებული პროცესებისა და კონტროლის ღონისძიებების შესრულებაზე უშუალო დაკვირვების პროცესს და ადგენს, ხდება თუ არა კონტროლის ღონისძიებების ფაქტობრივი განხორციელება;

**რისკისა და
კონტროლის მატრიცა
Risk control matrix**

შიდა აუდიტორის დამხმარე საშუალება, იმისათვის რომ განისაზღვროს, გამოვლენილია თუ არა ყველა მნიშვნელოვანი რისკი და შეესაბამება თუ არა ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები.

რისკისა და კონტროლის მატრიცა შედგება შემდეგი მონაცემებისაგან:

1. დანესებულების მიზნები;
2. რისკები;
3. თითოეული რისკის მოხდენის ალბათობა/ გავლენა;
4. შესაბამისი კონტროლის ღონისძიება;
5. ადეკვატურობის შეფასება;
6. ეფექტიანობის ანალიზი;
7. საბოლოო შეფასება.

შერჩევა Sampling

გულისხმობს მთლიანი შესამონშეხელი სიმრავლიდან ცალკეული ნიმუშის შერჩევას და მისი შესწავლით მთლიან სიმრავლეზე დასკვნის გამოტანას. შერჩევის მიზანია ადამიანებზე, საკითხებზე, პროცესებზე, დოკუმენტებზე შედარებით მცირე მოცულობის მონაცემების შეგროვება და შემდგომ მთლიან სიმრავლეზე განზოგადება. შერჩევა სიმრავლის შესწავლის ეფექტიანი მეთოდი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი შერჩეული ნიმუში ასახავს იმ სიმრავლის თვისებებს (რეპრეზენტატიულია), საიდანაც შერჩეული იქნა აღნიშნული ნიმუში;

სტატისტიკური შერჩევა statistical sampling

გულისხმობს მათემატიკურ პროცედურაზე დაფუძნებული ტექნიკის გამოყენებით დასკვნების გაკეთებას პოპულაციასთან მიმართებით. სტატისტიკური შერჩევა აუდიტორს შესაძლებლობას აძლევს დასკვნები დააფუძნოს არითმეტიკულ სანდოობას (მაგალითად, მცდარი დასკვნის ალბათობა) მონაცემთა ერთობლიობასთან მიმართებით;

**არასტატისტიკური
შერჩევა
Non-statistical
Sampling**

წარმოადგენს მიდგომას, რომელსაც აუდიტორი იყენებს მაშინ, როდესაც შერჩევის ზომის განსაზღვრისას სურს გაითვალისწინოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება. არასტატისტიკური შერჩევა (მაგალითად, შეფასებითი - „Judgmental“) შესაძლოა არ იყოს ობიექტური და, ამდენად, შერჩევის შედეგები, შეიძლება, მათემატიკურად ვერ იქნას დასაბუთებული შედეგების მთელ პოპულაციაზე გავრცელებისას. ტესტირების მიზანი, ეფექტურობა, საქმიანობის მახასიათებლები, თანდაყოლილი რისკები და შედეგების გავლენა არის ის საერთო ფაქტორები, რომლებიც წარმართავს აუდიტორს შერჩევის ამ მიდგომის გამოყენებისას. არასტატისტიკური შერჩევა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როდესაც მნიშვნელოვანია ტესტირების შედეგების სწრაფად მიღება და ისინი უფრო მეტად საჭიროა იმისათვის, რომ დადასტურდეს რაიმე პირობის/მდგომარეობის არსებობა, ვიდრე დასკვნების მათემატიკური სიზუსტის წარმოსაჩენად;

**ბენფორდის მეთოდი
Benford's law**

მათემატიკური წესი, რომელიც ვრცელდება სხვა რიცხვებისგან წარმოებული რიცხვების ერთობლიობაზე (მაგალითად, როგორცაა გაყიდვების ჯამი გამოხატული ლარში, რომელიც მიიღება გაყიდული საქონლის რაოდენობის ერთეულ ფასზე გამრავლებით). აღნიშნული წესის თანახმად, შემთხვევების 30%-ში ამ წარმოებული რიცხვის პირველი არანულოვანი ციფრი იქნება ერთი, ხოლო მხოლოდ 4.6% შემთხვევებში იქნება ცხრა. ბენფორდის კანონს აუდიტორები იყენებენ ფიქტიური რიცხვების სიმრავლეების გამოსავლენად;

**გრაფიკული
გამოსახულება
(ბლოკ-სქემა)
Graphical description
(flowchart)**

პროცესის გრაფიკული აღწერა, რომელიც გვიჩვენებს შიდა კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებული დოკუმენტების ან ინფორმაციის ნაკადს და გრაფიკულად ასახავს მონაცემების და/ან ქმედებების თანმიმდევრობას პროცედურის განხორციელებისას, რისკების მართვის ყველაზე ეფექტიანი გზების დასადგენად;

**შიდა აუდიტის
მტკიცებულება
Audit evidence**

მოპოვებული, გაანალიზებული და შეფასებული ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება აუდიტორული დასკვნა. შეიძლება იყოს ფიზიკური, დოკუმენტური ან ანალიტიკური. მტკიცებულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კონცეპტუალურ მოთხოვნებს და უნდა იყოს: საკმარისი, საიმედო, შესაფერისი, მნიშვნელოვანი;

**საკმარისი
(შიდა აუდიტის
მტკიცებულება)
Sufficient
(Audit evidence)**

წარმოადგენს მტკიცებულების ოდენობის (მოცულობა) საზომს; მოპოვებული და შეფასებული უნდა იქნეს საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ გონივრულად ინფორმირებული, მიუკერძოებელი პირი დაეთანხმოს შიდა აუდიტორის დასკვნებს;

**საიმედო
(შიდა აუდიტის
მტკიცებულება)
Reliable
(Audit evidence)**

წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს და მტკიცებულების მოძიების მეთოდის საიმედოობისა და შესაფერისობის საზომს; საზოგადოდ, მესამე, დამოუკიდებელი მხარისაგან მიღებული ინფორმაცია უფრო საიმედოა, ვიდრე აუდიტის ობიექტისაგან მიღებული; მტკიცებულება საიმედოა, როდესაც იგი მოპოვებულია უშუალოდ ფიზიკური შემონმების, დაკვირვებისა და ინსპექტირების გზით, და როდესაც მიღებულია დოკუმენტური სახით და არა ზეპირსიტყვიერად. მტკიცებულების საიმედოობის ხარისხი იზრდება, როდესაც იგი რამდენიმე წყაროდანაა მიღებული;

**შესაფერისი
(შიდა აუდიტის
მტკიცებულება)
Relevant
(Audit evidence)**

წარმოადგენს მტკიცებულების შესაფერისობის საზომს; მტკიცებულება ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს იმასთან, რის დასამტკიცებლადაც ხდება მისი მოძიება. აუდიტის მტკიცებულება შეიძლება იყოს ფიზიკური, აღიარებითი, დოკუმენტური და ანალიტიკური;

**მნიშვნელოვანი
(შიდა აუდიტის
მტკიცებულება)
Useful
(Audit evidence)**

წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელობის საზომს; მტკიცებულება მნიშვნელოვანი უნდა იყოს აუდიტის განხორციელების პროცესში, რაც გულისხმობს როგორც მის ლოგიკურ კავშირს დაწესებულებასთან, ასევე დროში მიზანშეწონილობას;

**აუდიტის კვალი
The Audit Trail**

ქრონოლოგიური ჩანაწერების ერთობლიობა და ჩანაწერების წყაროები, რომელიც უზრუნველყოფენ იმ თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელების დოკუმენტირებულ მტკიცებულებას, რომელმაც გავლენა იქონია კონკრეტულ ოპერაციაზე, პროცედურაზე ან მოვლენაზე;

**აუდიტორული
მიგნებები
Audit findings**

კრიტერიუმებით განსაზღვრული, რეალურ სიტუაციასთან შედარებით გამოვლენილი ფაქტების შესაბამისი დასკვნები;

მიგნება, როგორც წესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. კრიტერიუმი;
2. არსებული მდგომარეობა;
3. მიზეზი;
4. ეფექტი;
5. რეკომენდაცია;

**აუდიტის კრიტერიუმი
The Audit Criteria**

ნორმა ან სტანდარტი, რომელიც გამოყენებული იქნება შიდა აუდიტის ჩატარებისას, შეფასების მიზნით. ნორმა ან სტანდარტი შეიძლება იყოს კანონმდებლობა, რეგულაციები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ა.შ; კრიტერიუმი განსაზღვრავს „რა უნდა იყოს“;

**საუკეთესო პრაქტიკა
Best Practice**

მეთოდი ან ტექნიკა, რომელიც არსებულ ალტერნატიულ პრაქტიკებს შორის წარმოადგენს საუკეთესო მათგანს, რადგან მისი უპირატესობა საზოგადოდ აღიარებულია. მისი მეშვეობით მიღებული შედეგები ბევრად აღემატება დანარჩენი ალტერნატიული გზებით მიღებულ შედეგებს და მიჩნეულია ერთგვარ სტანდარტად;

**შესადარებელი
ნიშნული
Benchmark**

პროცესი, რომელიც იყენებს საერთო მაჩვენებლებს კონკრეტული ღონისძიებებისა და პროცესების ეფექტიანობის მაჩვენებლებისა და შედეგების შესადარებლად, გაუმჯობესების შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით;

**არსებული
მდგომარეობა
The Condition**

აღწერს რეალურ მდგომარეობას, ანუ „რა არის“;

**მიზეზი
The cause**

აღწერს, რატომ არ შეესაბამება არსებული მდგომარეობა კრიტერიუმს;

**ძირეული მიზეზი
The Root – cause**

ძირეული მიზეზის განსაზღვრა გულისხმობს არამართო გამოვლენილ პრობლემებზე რეკომენდაციის გაცემას, არამედ მისი გამომწვევი სიღრმისეული მიზეზების დადგენასა და აღმოფხვრას, იმავე მიზეზით განპირობებული შემთხვევების პრევენციისთვის;

**პროფესიული
სკეპტიციზმი
Professional Skepticism**

აუდიტის მტკიცებულების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება და კრიტიკული შეფასება;

**პროფესიული განსჯა
Professional judgment**

ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება სტანდარტებისა და პროფესიული ქცევის წესების შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია რამდენიმე შესაძლო ალტერნატივიდან ერთის შერჩევა;

**შიდა აუდიტის
რეკომენდაცია
Internal Audit recom-
mendation**

შიდა აუდიტორთა მიერ ხარვეზის გამოსწორების/გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული წინადადებები;

აუდიტის მოსაზრება
Overall Opinion

აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ან სხვა სახის შეფასება, რომელსაც იგი წარუდგენს დანებსებულების ხელმძღვანელობას. აუდიტის მოსაზრება წარმოადგენს აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელის პროფესიონალურ შეფასებას, რომელიც ეფუძნება ცალკეული აუდიტორული შემოწმებების და კონკრეტული დროის ინტერვალში განხორციელებული სხვა ღონისძიებების შედეგებს;

შიდა აუდიტორული ანგარიში
Internal audit report

შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტორის მიერ შედგენილი ანგარიში, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, შიდა აუდიტის განხორციელების პროცესსა და მიგნებებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, აგრეთვე, შიდა აუდიტის ობიექტის არგუმენტაციას (ასეთი არგუმენტაციის არსებობის შემთხვევაში);

ინფორმაციის დოკუმენტირება
Documenting Information

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად მოპოვებულ მონაცემთა შენახვის, მართვისა და, ასევე, მათი შიდა და გარე პირებზე გავრცელების პოლიტიკა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის მარეგულირებელ აქტებსა და სხვა მოთხოვნებს;

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი
Follow-up

პროცესი, რომლის მეშვეობითაც შიდა აუდიტორები ადგენენ აუდიტის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსს;

**ზედამხედველობა
შიდა აუდიტორული
შემონშების
პროცესზე
Engagement Supervi-
sion**

შიდა აუდიტორულ შემონშებაზე უნდა ხორციელდებოდეს სათანადო ზედამხედველობა, რომელიც ხელს უწყობს მიზნების მიღწევას, ხარისხის უზრუნველყოფას და თანამშრომლების განვითარებას. განხორციელებული ზედამხედველობის მტკიცებულებები უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული და შენახული;

**საქმიანობის არსი
Nature of Work**

შიდა აუდიტის სუბიექტმა, სისტემატური და თანმიმდევრული მიდგომის გამოყენებით, უნდა შეაფასოს და წვლილი შეიტანოს მმართველობითი, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებაში;

**COSO
სპონსორი
ორგანიზაციების
კომიტეტი
Committee Of Sponsor-
ing Organizations**

ფინანსური ანგარიშგების ეროვნულ კომისიასთან არსებული კომიტეტი. 1992 წელს COSO-მ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც მოცემულია შიდა კონტროლის და შიდა კონტროლის სისტემის/მოდელის განსაზღვრება. COSO-ს ინტეგრირებული ჩარჩოს მიხედვით შიდა კონტროლი შემდეგი 5 კომპონენტისგან შედგება:

1. კონტროლის გარემო;
2. რისკის მართვა;
3. კონტროლის ღონისძიებები;
4. ინფორმაცია და კომუნიკაცია;
5. მონიტორინგი

⁵ The IIA

⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“

კონტროლის გარემო Control environment

შიდა კონტროლის ფუნდამენტი, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინასა და სტრუქტურას, აყალიბებს ეთიკურ გარემოს და შიდა კულტურას ორგანიზაციაში⁵;

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისათვის დაწესებულების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ შესაბამისი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებასა და დახვეწას, რომელიც მოიცავს:

- ა) ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა პირად და პროფესიულ პატიოსნებას და ეთიკურ ღირებულებებს;
- ბ) მართვის პროცესებსა და მეთოდებს;
- გ) დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას;
- დ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებას, ასევე, ანგარიშგების საფეხურების იერარქიულობას;
- ე) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას;
- ვ) დაწესებულების თანამშრომელთა კომპეტენტურობას⁶;

რისკის მართვა Risk management

დანესებულების მიზნების მიღწევისას არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის პროცესი, რაც წარმოადგენს ერთგვარ ბაზას იმის განსასაზღვრად, თუ როგორ უნდა მოხდეს რისკების მართვა⁵;

რისკის მართვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებელია დანესებულების ხელმძღვანელი. იგი განსაზღვრავს იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს დანესებულების ან/და დანესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დანესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე და მოიცავს რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას⁶;

კონტროლის ღონისძიებები Control activities

კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად, დანესებულების მიზნების მისაღწევად, ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს;

**ინფორმაცია და
კომუნიკაცია
Information & Commu-
nication**

დანეხებულებში უნდა არსებობდეს სანდო, სრულყოფილი და ხელმისაწვდომი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს დანეხებულების საქმიანობის შესახებ უახლესი და სანდო ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობას დანეხებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე;

ბ) დანეხებულების ყველა თანამშრომელს მისცემს შესაძლებლობას, რომ თავიანთი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შესახებ მიიღონ სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია, მითითებები და ინსტრუქციები;

**მონიტორინგი
(და შეფასება)
Monitoring
(& Assessment)**

პროცესი, რომელიც აფასებს არსებული სისტემების ეფექტიანობას, მიმდინარე მონიტორინგის ან დამოუკიდებელი შეფასებების ან კომბინირებული მიდგომებით;

**სისტემა
System**

ერთმანეთთან დაკავშირებული პროცედურების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საერთო მიზნის/შედეგის მიღწევას;

**პროცესი
Process**

დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, მოქმედებათა ლოგიკური თანმიმდევრობა, რომელიც მოიცავს გარკვეულ რესურსებს და უზრუნველყოფს განსაზღვრული მიზნის მიღწევას;

**თანდაყოლილი რისკი
Inherent risk**

რისკი, რომელიც არსებობს ობიექტის საქმიანობასთან მიმართებაში, ან მისთვის დამახასიათებელია, გარკვეული კონტროლის ღონისძიებების განხორციელებამდე;

ნარჩენი რისკი
Residual risks

რისკი, რომელიც გამოვლინდა კონტროლის ღონისძიებების განხორციელების შემდეგ;

რისკის მადა
Risk Appetite

დანესებულებისთვის მისაღები რისკის დონე;

მოხდენის ალბათობა
Likelihood

კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა;

გავლენა
Impact

მიღებული ეფექტი კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში;

ორგანიზაციული რისკების მართვა
Enterprise Risk Management (ERM)

ორგანიზაციული რისკების მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომლის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და საპასუხო ღონისძიებების გატარება. ორგანიზაციული რისკების მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დანესებულების მიზნების მიღწევაზე;

რისკის იდენტიფიკაცია
Risk Identification

პროცესი, რომლის დროსაც ხდება რისკის მოძიება და დეტალური აღწერა;

რისკის შესაბამისი საპასუხო ღონისძიებები
Risk Response

ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების საპასუხოდ დანესებულების წინაშე არსებული რისკების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად, რაც აისახება საფრთხის შემცირებაში და დანესებულების მიერ დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევაში;

**ძირითადი
კონტროლის
ღონისძიებები
Key controls**

კონტროლის ღონისძიებები, რომლებიც ეფექტიანად უნდა მოქმედებდეს, მნიშვნელოვანი რისკების მისაღებ დონემდე შესამცირებლად;

**დამხმარე
კონტროლის
ღონისძიებები
Secondary controls**

კონტროლის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს პროცესის გამართვას, თუმცა, არ არის არსებითად მნიშვნელოვანი;

**პრევენციული
კონტროლი
Preventive controls**

კონტროლის მექანიზმი, რომელიც მიმართულია არასასურველი შეცდომების აღმოფხვრისკენ;

**აღმოჩენითი
კონტროლი
Detective controls**

კონტროლის მექანიზმი, რომელიც იჭმნება უკვე დაშვებული შეცდომების გამოსავლენად;

**მაკორექტირებელი
კონტროლი
Corrective controls**

კონტროლის მექანიზმი, რომელიც შექმნილია აღმოჩენილი კონტროლის შედეგად გამოვლენილი შეცდომებისა და დარღვევების მექანიკური ან ავტომატური კორექტირებისთვის;

**მიმართული
(დირექტიული)
კონტროლი
Directive controls**

კონტროლის მექანიზმი, რომელიც იწვევს ან ხელს უწყობს სასურველი შედეგის მიღებას;

**შემამცირებელი/
შემამსუბუქებელი
კონტროლი
Mitigating controls**

კონტროლის მექანიზმი, რომელიც ამცირებს გავლენას, შედეგის დადგომის შემთხვევაში;

⁷ საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"

**მაკომპენსირებელი
კონტროლი
Compensating controls**

კონტროლის მექანიზმი, რომელიც აკომპენსირებს სხვა მოსალოდნელი კონტროლის ღონისძიებების ნაკლებობას;

**ჭარბი/გადაჭარბებული
კონტროლი
Redundant controls**

კონტროლის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ძირითადი კონტროლის მექანიზმის უშედეგობის შემთხვევაში, იმავე მიზნის მისაღწევად;

**დარღვევა
(გადაცდომა)
Irregularity**

საჯარო დანებსებულების მარეგულირებელი ნორმებისა და შესაბამისი შინაგანაწესის დარღვევა შემთხვევით ან უმოქმედობით, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს საჯარო პირის საქმიანობაზე;

**თაღლითობა
Fraud**

თაღლითობა არის უკანონო ქმედების ტიპი, რომელიც მოიცავს გარკვეული ღირებულების მქონე მატერიალური სარგებლის მიღებას არასწორი ინფორმაციის გავრცელების ან ფაქტების დამახინჯების გზით - მოტყუებით, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობით ან ნდობის ხარისხის დარღვევით. თაღლითობას ჩადის ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია ფულის, ქონების ან მომსახურების მიღების მიზნით; ასევე, პირადი ან საქმიანობასთან დაკავშირებული სარგებლის მოპოვების მიზნით.

თაღლითობა არ გულისხმობს ძალადობის საფრთხეს ან ფიზიკური ძალის გამოყენებას;

**შესაბამისობა
Compliance**

ნორმატიულ აქტებთან, შიდა რეგულაციებთან, პოლიტიკასთან, პროცედურებთან, ხელშეკრულებებთან, გეგმებთან და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**არსებითობის ტესტი
Substantive test**

ანალიტიკური პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს კონტროლის ღონისძიებების ეფექტიანობის, კერძოდ, ოპერაციების ან დოკუმენტების სისრულის, კანონიერების, სიზუსტისა და საფუძვლიანობის შემოწმებას;

**მაღალი მენეჯმენტის
ტონი
Tone at the Top**

დანესებულების ზოგადი ეთიკური კლიმატი, რომლის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს ხელმძღვანელობა და მოიცავს ორგანიზაციულ კულტურას, ხელმძღვანელობის ნებას, დანესებულების ღირებულებებს და ა.შ.;

**ცვლილებების
მენეჯმენტი
Change Management**

დაგეგმვისა და ცვლილებების მართვის განგრძობადი ღონისძიებები, დანესებულების მიზნების მიღწევის პროცესში, რომლის მიხედვითაც, ცვლილების მოულოდნელად განხორციელების ნაცვლად, შესაძლებელია მისი წინასწარ განსაზღვრა და ინიციატივის საფუძველზე განხორციელება. დანესებულება მუდმივი განვითარებისთვის საჭიროებს ეფექტიანი ცვლილებების მენეჯმენტის პრაქტიკას;

⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“

**საქმიანობის
განგრძობითობა
Business Continuity**

გულისხმობს დაწესებულების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმებისა და ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების მიერ საქმიანობისა და ძირითადი ფუნქციების უწყვეტ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობას, ბუნებრივი კატასტროფისა თუ სხვა შემთავრებელი მოვლენის მოხდენის შემთხვევაში;

**რესურსების
ოპტიმალური
გამოყენების
უზრუნველყოფა
Value-for-money**

რესურსების დროული და სტანდარტის შესაბამისი ხარისხით ხარჯვა, რაც დააკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოლოდინს, ყოველივე ამისთვის კი გახარჯული იქნება საბიუჯეტო სახსრების ის მინიმუმი, რომლითაც მიღწეულ იქნება მაქსიმალური შედეგი, მაგრამ ეს არ გულისხმობს ყველაზე დაბალი ფასის არჩევას;

**პროგრამა
Program**

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება⁷;

**ქვეპროგრამა
Sub-program**

მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა⁷;

**პროგრამის
(ქვეპროგრამის)
ხელმძღვანელი
Program (sub-program)
manager**

დანესებულების პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებლის საქმიანობის შედეგების თანხვედრას დანესებულების პროგრამის მიზნებთან⁸;

**პროგრამის
განმახორციელებელი
Program Executor**

პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს პროგრამის/ ქვეპროგრამის მიზნების მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განმახორციელებელი შეიძლება განკარგავდეს პროგრამის/ქვეპროგრამის მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულ სახსრებს, დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში⁸;

**დანახარჯი (რესურსი)
Input**

წარმოადგენს ეკონომიკურ დანახარჯს (მაგ., ფული, ადამიანური რესურსი, აღჭურვილობა), რასაც იყენებს დანესებულება თავისი მიზნების მისაღწევად და რისი ინვესტირება/ ჩადება ხდება კონკრეტულ პროცესში/ პროგრამაში;

¹⁰ The IIA

¹¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“

**შუალედური შედეგი/
პროდუქტი
Output**

წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებული ღონისძიებების ზემოქმედებით რესურსების გარდაქმნის უშუალო შედეგს (დასრულებული პროდუქტი ან მომსახურება, მაგალითად, ჩატარებული ტრენინგი, დაბეჭდილი წიგნი და ა.შ.), რაც ღირებულების მატარებელია ამ პროცესის მომხმარებლისათვის. შესაძლოა ერთი პროცესის შედეგი, ამავედროულად, იყოს სხვა პროცესის რესურსი. შედეგი/პროდუქტი არის კონკრეტული და გაზომვადი;

**შედეგი/ეფექტი/
გავლენა
Outcome**

წარმოადგენს ზეგავლენას/ცვლილებას, რომელიც განაპირობა პროცესის შუალედურმა შედეგმა/პროდუქტმა (მაგ., შემცირებული ჰაერის დაბინძურება, შემცირებული საცობები, შემცირებული სატრანსპორტო შემთხვევები და ა.შ.). შედეგი არის სარგებელი, რომელსაც იღებს საზოგადოება/მომხმარებელი დაწესებულების მიერ მიღწეული შუალედური შედეგიდან/პროდუქტიდან. საბოლოო შედეგის (ეფექტის/გავლენის) გარეშე აზრი არ აქვს პროცესის ფარგლებში რაიმე შუალედური შედეგის მიღწევას ან/და პროდუქტის შექმნას. შედეგის/ეფექტის/გავლენის გაზომვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი;

**გარე აუდიტი
External Audit**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური (საო) არის აუდიტის უმაღლესი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს გარე აუდიტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზნებია ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას⁹;

**ჰორიზონტალური
აუდიტი
Horizontal Audit**

ხორციელდება გარე აუდიტის ფარგლებში და მოიცავს დაწესებულების (დაწესებულებების) სხვადასხვა დეპარტამენტებისა და განყოფილებების მსგავსი ფუნქციების ანალიზს, რათა შეფასდეს დაწესებულების საერთო მიდგომის ეფექტიანობა;

**ვერტიკალური აუდიტი
Vertical Audit**

ხორციელდება გარე აუდიტის ფარგლებში და მოიცავს ცალკეული აუდიტის ობიექტის ფუნქციების ფარგლებში განხორციელებულ ყველა მოქმედებას;

**ფინანსური
ინსპექტირება
Financial Inspection**

მიზნად ისახავს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სამსახურებრივ შემონმებას, მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შესწავლის მიზნით, ასევე, პასუხისმგებელი პირების სანქცირებას. ფინანსური ინსპექტირება არის საგამოძიებო მოქმედება, რაც თავისი არსით პოსტ-კონტროლის ღონისძიებას მიეკუთვნება;

**წინასწარი კონტროლი
Ex-ante control**

გამოიყენება სისტემის წინასწარი შეფასებისთვის და იგი მოიცავს სხვადასხვა სახის წინასწარ მოქმედებებს, კონკრეტული ადმინისტრაციული ან ფინანსური ღონისძიების შეფასებისთვის, რათა მოხდეს სისტემის ლოგიკურობის შემოწმება მანამ, სანამ იგი ფუნქციონირებას დაიწყებს;

საპასუხო კონტროლი Ex-post control

საქმიანობის ფორმით წარმოადგენს საჩივარზე ორიენტირებულ საპასუხო კონტროლს, რომელიც ახორციელებს რუტინულ, დეტალურ შემოწმებებს, შიდა გამოძიებებს, შესწავლებს, გადამოწმებებს და ა.შ., იმ დარღვევებსა და გადაცდომებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც წარმოადგენენ საჩივრის საფუძველს ან რომელთა შესახებაც მიღებულ იქნა ინფორმაცია ან მოთხოვნა ამგვარი ქმედების ჩატარებაზე;

ინტერესთა კონფლიქტი Conflict of interests

შიდა აუდიტორის მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასა და კერძო ინტერესებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ მიუკერძოებლად და ობიექტურად შესრულებაზე¹⁰;

შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:

- ა) შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში;
- ბ) შიდა აუდიტორის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკავიათ ან შესამოწმებელ პერიოდში ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები შიდა აუდიტის ობიექტში;
- გ) ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევა, რომელსაც აფასებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი¹¹;

The IIA
შიდა აუდიტორთა
ინსტიტუტი
The Institute of Internal
Auditors

შიდა აუდიტორული საქმიანობის სტანდარტის განმსაზღვრელი ორგანო, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით გამოსცემს შიდა აუდიტორებისათვის საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩოს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაღალი სტანდარტების შიდა აუდიტორული შედეგები განსხვავებული გარემოებებისთვის.

IPPF- საერთაშორისო
პროფესიული
პრაქტიკის ჩარჩო
International
Professional Practice
Framework

IPPF - წარმოადგენს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის სტანდარტებით განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებების ჩამოყალიბებას. ეს მითითებები ორ კატეგორიად იყოფა: 1) შესასრულებლად სავალდებულო და 2) სარეკომენდაციო. საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

1. შიდა აუდიტის მისია;
2. ძირითადი პრინციპები;
3. შიდა აუდიტის განმარტება;
4. შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი;
5. შიდა აუდიტის სტანდარტები;
6. დანერგვის სახელმძღვანელო;
7. დამატებითი სახელმძღვანელო.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემაში გამოყენებული აბრევიატურები

PIFC - Public Internal Financial Control - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი

CHU - Central Harmonization Unit - ჰარმონიზაციის ცენტრი

FMC - Financial Management and Control - ფინანსური მართვა და კონტროლი

IA - Internal Audit - შიდა აუდიტი

CAE - Chief Audit Executive - შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი

The IIA - The Institute of Internal Auditors - შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი

COSO - Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commission - სპონსორი ორგანიზაციების კომიტეტი

COCO - Canadian Institute of Chartered Accountants - დიპლომირებულ ბუღალტერთა კანადური ინსტიტუტი

IC - Internal Control - შიდა კონტროლი

ERM - Enterprise Risk Management - ორგანიზაციული რისკების მართვა

CIA - Certified Internal Auditor - სერტიფიცირებული შიდა აუდიტორი

SAO - State Audit Office - სახელმწიფო აუდიტის სამსახური

INTOSAI - The International Organisation of Supreme Audit Institutions - უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაცია

ISSAI - International Standards of Supreme Audit Institutions - უმაღლესი აუდიტორული სამსახურის საერთაშორისო სტანდარტები

COBIT 5 - Control Objectives for Information and Related Technology - ინფორმაციული ტექნოლოგიების სტანდარტი

PFM - Public finance management - საჯარო ფინანსების მართვა

PEFA - Public Expenditure and Financial Accountability - სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასება

PAR - Public Administration Reform - საჯარო ადმინისტრირების რეფორმა

EU - European Union - ევროკავშირი

SIGMA - Support for improvement in Governance and Management - მმართველობის და მენეჯმენტის გაუმჯობესებისკენ მიმართული დახმარება

OECD - Organisation for Economic and Co-operation and Development - ეკონომიკისა და თანამშრომლობის განვითარების ორგანიზაცია

ToR - Terms of Reference - ხელშეკრულების პირობები

EC - European Commission - ევროკომისია

DG Budget - საბიუჯეტო დირექტორატი

USAID - United States Agency for International Development - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

NGO - Non-Governmental Organisation - არასამთავრობო ორგანიზაცია

QAIP - Quality Assurance and Improvement program - ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა

SMART Specific - კონკრეტული

M Measurable - გაზომვადი

A Achievable - განხორციელებადი (მიღწევადი)

R Relevant - შესაბამისი

T Time bound - დროში განწერილი